სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები,
ჰუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა სერია,
Proceedings of Sokhumi State University,
Humanities and Socio-Political Sciences Series, ტომი/ Vol. XX, 2022 წელი

გელა ცაავა[1]
სამშვიდობო განათლების ცენტრი
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

https://doi.org/10.52340/sou.2022.20.27

ე. წ. რუსული ბაზების საფრთხე ოკუპირებული აფხაზეთის მოსახლეობისათვის

აბსტრაქტი. წარმოდგენილი ნაშრომის საკვლევ თემას წარმოადგენს რუსეთის ფედერაციასა და ოკუპირებულ აფხაზეთს შორის დადებული ე. წ. სამოკავშირეო შეთანხმების დოკუმენტის განხილვა, რეგიონში ადამიანის უფლებების ხელყოფის ფაქტების წარმოჩენა. აქცენტები გაკეთებულია ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დაცვის მნიშვნელობაზე. წარმოდგენილ ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია რუსეთის ფედერაციის ექსპანსიონისტური პოლიტიკის გაძლიერებასა და უკანონო სამხედრო საქმიანობაზე, რომელიც რისკს უქმნის ოკუპირებული რეგიონის უსაფრთხოებას.

***საკვანძო სიტყვები*:** აფხაზეთი, რუსეთი, სამხედრო ბაზები, ოკუპაცია.

Gela Tsaava[2]
Center for Peace Education, Sokhumi State University

Danger of So Called Russian Bases For the population of Occupied Abkhazia

Abstract. Military policy of the Russian Federation after the 2008 Russia-Georgia war Regarding the occupied Abkhazia and South Ossetia, it has moved to a new stage. Combat Immediately after the end of the actions, within a few weeks,

[1] **გელა ცაავა,** რუსეთისმცოდნეობის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი ასოცირებული პროფესორი.
[2] **Gela Tsaava,** Doctor of Russian studies, Associate Professor of Sokhumi State University and National University of Georgia.

Russia both regions declared them as ,,independent republics“, thus qualitatively different A military strategy began to act.

The ,,recognition'' on the part of Russia was accompanied by ,,alliance and strategic“ with the de facto governments of Abkhazia and South Ossetia. Signing of Partnership Agreements. In 2010, the governments of the Russian Federation and unrecognized Abkhazia signed a military agreement that is valid for 49 years and every 5 It continues automatically for a year.

Dissatisfaction among local Abkhazians is caused by the location of Russian military bases in other regions of Abkhazia besides the Gali region Abkhazians consider it necessary to have a base on the ,,border“ strip, because Georgians should protect themselves with this from the attack of the side, although they believe that in Sukhumi, Ochamchire and other districts There is no need.

***Key words*:** Abkhazia, Russia, Military bases, Occupation.

ძირითადი კვლევა. 2010 წლის 17 თებერვალს, რუსეთის ფედერაციასა და ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობას შორის გაფორმდა ე. წ. ხელშეკრულება, რაც ითვალისწინებდა სამხედრო ბაზის შექმნას, რომლის მოქმედების ვადა 49 წლით, შემდგომი 15-წლიანი გაგრძელების შესაძლებლობით განისაზღვრა.

2010 წლის 6 ოქტომბერს, რუსეთის ფედერაციის იმჟამინდელმა პრეზიდენტმა, დიმიტრი მედვედევმა ხელი მოაწერა ფედერალურ კანონს „აფხაზეთის ტერიტორიაზე გაერთიანებული რუსული ბაზების შესახებ რუსეთის ფედერაციასა და აფხაზეთს შორის შეთანხმების რატიფიკაციის თაობაზე“.

ამჟამად, ოკუპირებულ აფხაზეთში მოქმედებს ბომბორას, ოჩამჩირის, ოხურეისა და სოხუმის „სამხედრო ბაზები“. სტამბოლის შეთანხმების თანახმად, რაც საქართველოს ტერიტორიაზე არსებული რუსეთის ფედერაციის ბაზების ლიკვიდაციას გულისხმობს, რუსეთის ფედერაციამ აიღო ვალდებულება ოკუპირებულ აფხაზეთში ერთ-ერთი ყველაზე დიდი - „გუდაუთის სამხედრო ბაზის“ ლიკვიდაციის შესახებ.

აღნიშნული შეთანხმების საწინაღმდეგოდ, რუსეთმა „ბომბორას სამხედრო ბაზაზე“ 3 დიდი ყაზარმა განაახლა და სამხედრო თვითმფრინავებისა და სხვა სახის ტექნიკის მისაღებად ინფრასტრუქტურა მოაწყო.

დე ფაქტო ხელისუფლების მხარე ე. წ. ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან (ნაკისრი ვალდებულებიდან) 6 თვის განმავლობაში რუსულ მხარეს

უანგაროდ გადასცემდა შეთანხმების მოქმედების მთელი ვადის განმავლობაში სამხედრო ბაზის დისლოკაციის ადგილებში მდებარე უძრავ ქონებას[3].

ე. წ. დოკუმენტის ხელმოწერის შემდეგ, რუსეთის ფედერაციის იმჟამინდელმა პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა განაცხადა, რომ ზემოხსენებული „შეთანხმება“ თანხვედრაშია საერთაშორისო ვალდებულებებთან, რაც საფუძველს ქმნის ოკუპირებული აფხაზეთის მშვიდობიანი განვითარებისათვის.

ე. წ. რუსეთ-აფხაზეთის შეთანხმების შესაბამისად, ერთობლივი სამხედრო ბაზა მოიცავდა ყოფილ სამშვიდობო ობიექტებს და ბომბორას სამხედრო აეროდრომს, რომელიც განლაგებულია ოკუპირებული გუდაუთის რაიონში. ასევე, სამხედრო პოლიგონს და ზღვის ყურის ნაწილს ოჩამჩირესთან, „რუსულ-აფხაზურ ერთობლივ სამხედრო გარნიზონებს“, კოდორის ხეობას და ენგურჰესის მიმდებარე ტერიტორიას.

გარდა ამისა, სამხედრო-ადმინისტრაციული და სამედიცინო დაწესებულებები (სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები) განთავსდება ოკუპირებულ სოხუმში, გაგრაში, გუდაუთაში, ახალ ათონში, ეშერასა და სხვა დასახლებებში.[4]

2015 წელს დაიწყო მოსამზადებელი სამუშაოები გუდაუთაში სამხედრო ბაზის სოციალური და სამხედრო ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობასა და მოწყობაზე და სარკინიგზო ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციისთვის მოსამზადებელ სამუშაოებზე.

ოკუპირებულ აფხაზეთში დისლოცირებული რუსული ჯარის საერთო რაოდენობა 4000 ადამიანს აღწევს. მე-7 სამხედრო ბაზა, 2019 წლის მდგომარეობით, შეიარაღებულია 40 ცალი Т-Т-72Б3 ტანკით; 120 82А ჯავშანტრანსპორტიორით; 18 თვითმავალი ჰაუბიცა 2С3 ,,Акация''-თი; 12 ნაღმტყორცნები 2С12 „Сани“-ით, 18 მრავალჯერადი სარაკეტო სისტემა БМ-21 „Град“-ით; ბუქსირებული ჰაუბიცები Д-30-ით, საჰაერო თავდაცვის საზენიტო სარაკეტო სისტემა „С-300“-ით.

აფხაზეთში დისლოცირებულია რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების მე-7 სამხედრო ბაზა, რომელიც აფხაზეთის დამოუკიდებლობისა და რუსეთის ინტერესების დაცვას ემსახურება ამიერკავკასიაში; ამ ბაზაზე განლაგებული ტექნიკის შესახებ ზუსტი ინფორმაცია არ არსებობს,

---

[3] შესაბამისად, იგი უზრუნველყოფს მასზე რუსული მხარის უფლებების იურიდიულ გაფორმებას იმ წესის მიხედვით, რომელიც ოკუპირებული აფხაზეთის ე. წ. კანონმდებლობითაა განსაზღვრული.

[4] თუმცა, რუსეთსა და აფხაზეთს შორის სამედიცინო დაწესებულებების ფუნქციონირებასთან დაკავშირებით უთანხმოება არსებობდა, როგორც, მაგალითად, სანატორიუმ „სოხუმის“ რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით.

თუმცა ცნობილია, რომ ახალი ტექნიკის შეტანა მუდმივად მიმდინარეობს (ნერსისიანი, 2015).

ზემოხსენებული საკითხის შესახებ ნატო-ში განსხვავებული მოსაზრება თავიდანვე არსებობდა. ალიანსის წარმომადგენელი კარმენ რომეო აცხადებდა, რომ ნატო რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს რეგიონებს შორის (იგულისხმება ოკუპირებული ცხინვალის რეგიონიც) გაფორმებულ ე. წ. ხელშეკრულებებს იურიდიული ძალის მქონედ არ განიხილავს.[5]

ორივე მათგანი, აფხაზეთში განთავსებული რუსეთის მე-7 სამხედრო ბაზა და ცხინვალის რეგიონში მყოფი მე-4 სამხედრო ბაზა, რუსეთის ფედერაციის სამხრეთის სამხედრო ოლქის შემადგენლობაში შედის. იქ დისლოცირებულ სამხედრო ძალებს სისტემატურად წვრთნიან და აახლებენ წვევამდელებით (არაბული, 2020). რუსეთის მე-4 სამხედრო ბაზა, აფხაზეთის ტერიტორიაზე მოქმედი რუსეთის მე-7 სამხედრო ბაზის მსგავსად, რუსეთის ფედერაციის სამხრეთის სამხედრო ოლქის დაქვემდებარებაშია (კომახია, 2017). ამასობაში უნდა გვახსოვდეს, რომ ორივე, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში დისლოცირებული რუსული შენაერთები რუსეთის არმიის სამხრეთის სამხედრო ოლქის შემადგენლობაშია და სწორედ მის სამხედრო შტაბს ემორჩილება (ხიდაშელი, 2022).

ჯერ კიდევ 1999 წლის ეუთო-ს სტამბოლის სამიტის რუსეთ-საქართველოს ერთობლივი განცხადების თანახმად, რომელიც წარმოადგენს „ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შესახებ ხელშეკრულების“ წევრსახელმწიფოთა კონფერენციის დასკვნითი აქტის მე-14 დანართს, რუსეთის ფედერაციამ იკისრა ვალდებულება 2001 წლის 1 ივლისამდე დაეხურა გუდაუთის სამხედრო ბაზა.

რუსულ სამხედრო ბაზებს საქართველოს ტერიტორია ეუთო-ს 1999 წლის სტამბულის სამიტზე მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, ეტაპობრივად უნდა დაეტოვებინა. გაყვანის პირველი ეტაპი წარმატებით განხორციელდა და ვაზიანის სამხედრო საჰაერო ბაზა ქართულ მხარეს 2001 წელს გადმოეცა (თევზაძე, 2019).

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის ფედერაციის იმჟამინდელმა პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა არაერთხელ განაცხადა იმის შესახებ, რომ გუდაუთის სამხედრო ბაზა დახურულია, იგი რუსეთის ფედერაციის მხრიდან

[5] იგი რუსეთის ფედერაციას მოუწოდებდა, რომ შეასრულოს ევროკავშირის შუამავლობით გაფორმებული 2008 წლის აგვისტოს ხელშეკრულება, გაიყვანოს თავისი არმია ომამდე არსებულ პოზიციებზე და ოკუპირებულ ტერიტორიებზე შეუშვას საერთაშორისო დამკვირვებელები.

ნაკისრი ვალდებულებების დარღვევით აგრძელებდა ფუნქციონირებას მთელი შემდგომი წლების განმავლობაში.

სწორედ ასეთი უკანონო ქმედებების ლეგალიზების მიზნით რუსეთის ფედერაცია ცდილობს ევროატლანტიკურ სივრცესა და საერთაშორისო თანამეგობრობას თავს მოახვიოს მის მიერ შემუშავებული, ევროპული უსაფრთხოების ახალი არქიტექტურა.

ზემოხსენებული დოკუმენტი იმ ექვსპუნქტიანი ხელშეკრულების პირდაპირი დარღვევაა, რომელიც საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტ ნიკოლა სარკოზის მიერაა შემუშავებული და რომელსაც რუსეთის ფედერაციის იმჟამინდელმა პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა 2008 წლის 12 აგვისტოს მოაწერა ხელი.

ამასთანავე, ხელშეკრულება რუსეთის ფედერაციის მხრიდან არღვევს საერთაშორისო სამართლის ნორმებსა და პრინციპებს და ვფიქრობთ, ეს არის მცდელობა, რომ მან ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე საოკუპაციო ჯარები შეინარჩუნოს საქართველოს საწინააღმდეგოდ.

საქართველოს მოკლე ისტორიულ წარსულს თუ გადავავლებთ თვალს, გავიხსენებთ არც თუ დიდი ხნის წინ ოკუპირებულ აფხაზეთში განლაგებული რუსული სამხედრო ძალების ქმედებებს, მათ დამოკიდებულებას ქართულ-აფხაზური მოსახლეობის მიმართ.

საარქივო მასალებზე დაყრდნობით ირკვევა, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს მთელ საბჭოთა კავშირში და მათ შორის საქართველოშიც, განლაგებული გახლდათ წითელარმიელთა ნაწილები, რომლებსაც ნაცისტური გერმანიისაგან უნდა დაეცვათ მოსახლეობა. ვერავინ იტყვის, რომ ისინი იცავდნენ ადგილობრივ მოსახლეობას, პირიქით საშინლად ავიწროებდნენ მათ.

ისტორიული მასალებიდან ირკვევა, რომ ადგილობრივ მოსახლეობას როგორ აწიოკებდნენ რუსი წითელარმიელები, როგორ გამოირჩეოდნენ ძარცვა-გლეჯით, მოროდიორობით, ახალგაზრდა გოგონების გაუპატიურებით, გლეხების ცემით, ლოთობით და თუკი ვინმე ალკოჰოლურ სასმელზე ეტყოდა უარს, იარაღის ჟღარუნით ესხმოდნენ თავს სოფლებსა და ქალაქებს.

წითელარმიელთა უმსგავსო ქმედებებით ისე იყო ადგილობრივი მოსახლეობა შეწუხებული, რომ წერილი წერილზე იგზავნებოდა საქართველოს ცეკა-ს პირველი მდივნის კანდიდ ჩარკვიანის სახელზე.

ერთ-ერთი დოკუმენტის თანახმად ჯარისკაცები ქალაქის საბჭოში შეიჭრნენ და ითხოვდნენ პურს, ვინც წინააღმდეგობას გაუწევდა იარაღით ემუქრებოდნენ. იყო შემთხვევა პურსაცხობში შეიჭრნენ და გაიტაცეს პური,

შემდეგ პურს არაყსა და ღვინოში ცვლიდნენ. გაძარცვეს სოფლის რამდენიმე მოსახლე და სცემეს მილიციელებს.[6]

პარალელების გავლება თანამედროვეობასთან არც თუ ისე ძნელია, განსაკუთრებით 2008 წლის მოვლენებთან. გატეხილი მაღაზიები და პურის საცხობები, ნაალაფარით გატენილი ტანკები და უზარმაზარი ავტომანქანები, სამხედრო ჩექმები და ოქროს კოვზი. რუსული ჯარის ხელწერა როგორც ჩანს დღესაც არ იცვლება.

ამრიგად, რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთთან დადებული ე. წ. ხელშეკრულება არ შეესაბამება საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მიღებულ, საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებულ ნორმებს, რომლის მიხედვითაც რუსეთის ფედერაციას არანაირი უფლება არ აქვს, გააფორმოს რაიმე სახის ოფიციალური ხელშეკრულება საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ სეპარატისტულ რეგიონებთან, რომლებიც ოკუპირებულ ზონებადაა გამოცხადებული როგორც საქართველოს პარლამენტის, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ.

თუმცა, რეალობამ ცხადყო, რომ რუსეთის ფედერაციის აგრესიის წინააღმდეგ გადადგმულ ნაბიჯებს ჯერ-ჯერობით რაიმე მნიშვნელოვანი შედეგი არ მოჰყოლია. დასავლეთის მხრიდან რუსეთის ფედერაციის მიმართ გატარებული რბილი პოლიტიკა ერთის მხრივ განპირობებულია იმ ფაქტორით, რომ რუსეთის ხელში არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური ბერკეტები საკმაოდ ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენს.

ეს თავისთავად არ გამორიცხავს საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან ალტერნატიული გზების ძიებას, რაც განაპირობებს რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე აღებული პასუხისმგებლობისა და მიღწეული შეთანხმებების განხორციელებას.

რუსული ბაზები რომ ადგილობრივი მოსახლეობისთვის საფრთხის შემცველია, დასტურდება თუნდაც იმ ფაქტით, რომ 2015 წლის 11 იანვარს, ღამით სომხეთის რესპუბლიკის ქ. გიუმრში დისლოცირებული 102-ე რუსული სამხედრო ბაზიდან გაქცეულმა 18 წლის ჯარისკაცმა, ვალერი პერმიაკოვმა წარმოუდგენელი სისასტიკით ამოხოცა ავეტისიანების მძინარე ოჯახი, რასაც მეზობელ სახელმწიფოში დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა.

აღნიშნული ფაქტი სომხეთის რესპუბლიკაში პირველი ტრაგედია არ არის. 2013 წლის გაზაფხულზე შირაქის სატანკო პოლიგონზე, სადაც რუსი სამხედროები წვრთნებს ატარებდნენ, ნაღმზე აფეთქების შედეგად ორი ბავშვი დაიღუპა. უფრო ადრე, 1999 წელს კი, ქ. გიუმრში ორმა მთვრალმა რუსმა

[6] წითელარმიელების მსგავსი ქმედებების გამო არაერთ გაფრთხილებას იღებდნენ, მაგრამ მიუხედავად ამისა, მათ თავგასულობას საზღვარი არ ქონდა.

სამხედრომ ბაზარში სროლა ატეხა, რის შედეგადაც ორი ადამიანი დაიღუპა, 14 კი დაიჭრა.

ოკუპირებულ აფხაზეთში ქართველებს და აფხაზებს, რუსი სამხედროების მიმართ განსხვავებული დამოკიდებულება გააჩნიათ. სავარაუდოდ, აფხაზების დიდი ნაწილისთვის რუსები არიან მშვიდობისა და უსაფრთხოების გარანტი. ასევე, დარწმუნებულნი არიან, რომ რუსეთის ფედერაცია ყველაზე ძლიერი და განვითარებული ქვეყანაა.

აქვე არის აფხაზების მეორე ნაწილი, რომელსაც აგრესია აქვს რუსი სამხედროების მიმართ მათი პრივილეგირებული მდგომარეობის გამო. რუსები ითვისებენ მიწებს, აშენებენ სასტუმროებს, ეწევიან კერძო ბიზნესს და ყიდულობენ სახლებს.[7]

აფხაზების მხრიდან აგრესიის გამომხატველია რუსების მიერ ოკუპირებულ აფხაზეთში არსებული ტრადიციების უგულებელყოფა და შეურაცხყოფა. იყო შემთხვევა, როდესაც რუსი სამხედროები ოკუპირებულ ქალაქში საცურაო კოსტუმით გამოჩნდნენ. აღნიშნულ ქმედებას მოჰყვა დაძაბულობა მათსა და ადგილობრივ მაცხოვრებლებს შორის.

აფხაზები უკმაყოფილებას გამოხატავენ რუსების სამხედრო ბაზების მიმართ ოკუპირებული გალის რაიონის გარდა, სხვა რაიონებში გახსნითაც. თუმცა, მათი გარკვეული ნაწილი საოკუპაციო ხაზზე ე. წ. ბაზის არსებობას საჭიროდ მიიჩნევენ, რადგან აღნიშნული საშუალებით უნდა დაიცვან თავი „ქართული მხარის თავდასხმისგან“.[8]

ოკუპირებული გალის რაიონში მცხოვრები ეთნიკური ქართველებისთვის უდიდეს პრობლემას რუსი სამხედროები წარმოადგენენ, რომლებმაც თითქმის ყველა ადგილზე სათვალთვალო კამერები განათავსეს და საოკუპაციო ხაზზე გადაპარვის შანსი მინიმუმამდე დაიყვანეს.[9]

რუსმა ოკუპანტებმა საოკუპაციო ხაზთან მოსახლეობის საცხოვრებელი სახლები და ეზოები შემოღობეს და ადგილობრივები თავისუფლად გადასვლას ვერ ახერხებენ. სატრანსპორტო საშუალებით გადაადგილებისას კი თითქმის ყოველ 3 კილომეტრში რუსები ადგილობრივებს საბუთებსა და ავტომანქანებს უმოწმებენ.

მდინარე ენგურის გასწვრივ საგუშაგოებია განთავსებული, რომელთაც ნაკლები კომუნიკაცია გააჩნიათ ოკუპირებული რაიონის

---

[7] აღნიშნული ხორციელდება იმ შემთხვევაში, როდესაც ე. წ. კანონით უცხო ქვეყნის მოქალაქეზე უძრავი ქონების გასხვისება კატეგორიულად იკრძალება.

[8] მათივე მოსაზრებით, ოკუპირებულ სოხუმში, ოჩამჩირესა და სხვა რაიონებში ამის აუცილებლობა არ არსებობს.

[9] კონტროლის ამ მექანიზმებით ხშირად იჭერენ ადგილობრივ მოსახლეობას და რამდენიმე საათის განმავლობაში, „სამხედრო ბაზების“ ბუნკერებში ამწყვდევენ.

ადგილობრივ მაცხოვრებლებთან. ხშირია ფაქტები, როდესაც ოკუპირებული გალის რაიონის მაცხოვრებლები, საკუთრებაში არსებული საქონლის მოსაძიებლად, მდ. ენგურის ახლოს მიდიან, სადაც მათ რუსი სამხედროები აკავებენ და სასტიკად სცემენ (ბოკუჩავა, ჩიტიშვილი, ნანუაშვილი, 2020).

ამასთანავე, არსებობდა ისეთი შემთხვევები, როცა მძიმე ავადმყოფი არ გაატარეს ენგურის ხიდზე. თუ მანამდე რუსები ძირითადად „სამხედრო ბაზებზე“ მუშაობდნენ, ამჟამად მათი სამუშაო სფერო მრავალფეროვანი გახდა და თითქმის ყველგან მუშაობენ, მათ შორის, ე. წ. აფხაზეთის სამთავრობო უწყებებშიც.

ზემოგანხილული ისტორიული ფაქტებიდან გამომდინარე, რუსული ბაზების განლაგება ოკუპირებულ აფხაზეთში (მათ შორის ოკუპირებულ ცხინვალში) თუ რა შედეგის მომტანი შეიძლება იყოს, დასკვნის გამოტანა აფხაზი (და ოსი) ხალხისთვის მიგვინდვია. რუსული ბაზებისა და რუსი ჯარისკაცების მათ ტერიტორიაზე განთავსება, რომლებიც ყოველთვის დამცველის როლს ირგებენ, სინამდვილეში ყველაზე დიდ საფრთხეს სწორედ მათთვის წარმოადგენს.

გამოყენებული ლიტერატურა:

არაბული (2020). ნასტასია არაბული. *რუსული სამხედრო ბაზები ყარაბაღსა და კავკასიაში - სად, რამდენი, რა ამოცანით.* 13 ნოემბერი, 2020. ხელმისაწვდომია https://www.radiotavisupleba.ge/a/30949026.html

ბოკუჩავა, მ. ჩიტიშვილი, მ. ნანუაშვილი, უ. (2020). მანონი ბოკუჩავა, მარიამ ჩიტიშვილი, უჩა ნანუაშვილი. *რუსეთის ფედერაციის სამხედრო ბაზები აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში და მათი გავლენა ადამიანის უფლებებზე.* 2020. ხელმისაწვდომია http://www.democracyresearch.org/files/69%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%93%E1%83%A0%E1%83%9D%20%E1%83%91%E1%83%90%E1%83%96%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%20%E1%83%90%E1%83%A4%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%96%E1%83%94%E1%83%97%E1%83%A1%E1%83%90%20%E1%83%93%E1%83%90%20%E1%83%AA%E1%83%AE%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%95%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%A8%E1%83%98.pdf

თევზაძე (2019). ქეთევან თევზაძე. *რუსული სამხედრო ბაზები საქართველოში.* 16.01.2019. ხელმისაწვდომია https://1tv.ge/video/rusuli-samkhedro-bazebi-saqartveloshi/

კომახია (2017). მამუკა კომახია. *ცხინვალის რეგიონში უსაფრთხოების სფეროზე რუსეთის გავლენა იზრდება: მხარდაჭერა სრული ინტეგრაციის სანაცვლოდ.* 2017/11/15. ხელმისაწვდომია https://gfsis.org.ge/ge/blog/view/766

ნერსისიანი (2015). ლეონიდ ნერსისიანი. *რუსეთის სამხედრო ბაზები ჰოსტ-საბჭოთა სივრცეში.* 26 მარტი, 2015. ხელმისაწვდომია https://reportiori.ge/old/?menuid=2&id=59628

ხიდაშელი (2022). თინათინ ხიდაშელი. *რუსეთის შემდეგი სამიზნე საქართველო?* 28.03.2022. ხელმისაწვდომია https://www.freiheit.org/ka/germany/rusetis-shemdegi-samizne-sakartvelo